დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

ქართული კულტურის დღეები ქ. შტუტგარტში

4-5 ნოემბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე, ქალაქ შტუტგარტში, „ხელოვნების და მუსიკის საზოგადოების“ (Art Music Georgia Verein) ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით ქართული კულტურის დღეები გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ლევან იზორია, ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ღვაჩლიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი, ქართული დიასპორისა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

ორი დღის განმავლობაში Kursaal Bad Cannstatt-ის საკონცერტო დარბაზში მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, ქართული ფოლკლორის, ცეკვისა და ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრის მსოფლიო ნიმუშებს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანების შესრულებით, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და ქართული კერძები, დაეთვალიერებინათ ქართველ მხატვარ-დიზაინერთა მიერ შესრულებული ქართული რეწვის ნიმუშები.

ღონისძიების პირველ დღეს, 4 ნოემბერს საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ ანსამბლი „Ziryab-Akademie“ შტუტგარტიდან და ქართული ცეკვის ანსამბლი „ფესვები“ აშშ-ის ქ. ნიუ-იორკიდან.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართული დიასპორის როლს საქართველოს ცნობადობის გაზრდის, ქვეყნის კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციის, საქართველოს მეგობრებისა და მხარდამჭერების მოზიდვის თვალსაზრისით, დიასპორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას როგორც საქართველოში მიმდინარე პროცესებში, ასევე სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელებაში. ღონისძიების მეორე დღეს, 5 ნოემბერს, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: გიორგი ონიანი, ნანა ძიძიგური, ლევან ცხადაძე, ვერიკო ჭუმბურიძე, დუდანა მაზმანიშვილი, ანა ნანუაშვილი, ბესო ნამჩევაძე, ლიზი ნამჩევაძე.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან იზორიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა დიასპორასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, სახალხო დიპლომატიაში დისპორის ჩართულობის როლს ქვეყნის ცნობადობის ამაღლების, მისი კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენის კუთხით. მან მადლობა გადაუხადა კონცერტის ორგანიზატორს, დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ანა ნანუაშვილს ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით გაწეული საქმიანობისათვის.

ღონისძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამის გამარჯვებული პროექტის, „დაიმკვიდრე მომავალი“ ფარგლებში განხორციელდა.

ქ. შტუტგარტში ვიზიტის ფარგლებში, 5 ნოემბერს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან იზორიამ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, მუხრან გულაღაშვილმა შეხვდრა გამართეს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

დიასპორის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქ. მიუნხენის „გერმანიის ქართული სათვისტომოს“ ხელმძღვანელი, ლერი დათაშვილი, სათვისტომოს ხელმძღვანელის მოადგილე, ნინო ხაბელაშვილი და ქ. შტუტგარტში მცხოვრები დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩმა, ლევან იზორიამ ყურადღება გაამახვილა საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ ცნობადობის გაზრდისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, დიასპორის ჩართულობით, ქართული კულტურის წარმოჩენის მნიშვნელობაზე და აღინიშნა, რომ დიასპორის მიმართ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა გაძლიერდა.

სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის, მუხრან გულაღაშვილის მხრიდან აღინიშნა, ასევე, დიასპორის პოტენციალის მნიშვნელობა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, დიასპორის შეკავშირების აუცილებლობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ქ. შტუტგრატში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა ყურადღება გაამახვილა დიასპორისა და სახელმწიფოს ერთობის მნიშვნელობაზე, საერთო მიზნების მისაღწევად, რაც საქართველოს განვითარებისა და კეთილდღეობის საწინდარია.

შეხვედრისას კიდევ ერთხელ იქნა გამოხატული მადლიერება დიასპორის წარმომადგენლების მიმართ, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის კუთხით შეტანილი წვლილისადმი და გამოითქვა მსგავსი შეხვედრების უფრო ხშირად ჩატარების სურვილი.

ქართული დელეგაცია ქ. შტუტგარტში წმიდა ილია მართლის სახელობის სამრევლოში წირვას დაესწრო, რომელიც ქ. მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმსახურმა, დეკანოზმა, თამაზ ლომიძემ აღავლინა.

„თბილისობა“ ქ. ვარშავაში

4-6 ნოემბერს, ქ. ვარშავაში, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, თორნიკე ცირეკიძის ორგანიზებით, „თბილისობისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

„თბილისობის“ ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, ღვინო და ხელნაკეთი ნივთები. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართული ცეკვის ხელოვნებას და მოესმინათ მომღერალთა ჯგუფ „ქართული კვარტეტის“ მიერ შესრულებული სიმღერები.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ქ. ატლანტაში

5 ნოემბერს, ქ. ატლანტაში, ჯორჯიის შტატში, „ევროპული გამოცდილების ქართულმა ცენტრმა" და მისმა პრეზიდენტმა, ნინა კიკნაძემ „ასკანელის" ღვინის ბრენდთან ერთად ჩაატარა ღვინის დეგუსტაციის ღონისძიება.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართული მეღვინეობის 800 წლიან ისტორიას, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინის სხვადასხვა სახეობა და მიეღოთ მონაწილეობა ქართული ღვინის დეგუსტაციის კონკურსში.

დეგუსტაციის მასტერკლასი წარმატებულად ჩაატარა ღვინის მცოდნემ, „ასკანელის" ბრენდის ელჩმა - უჩა წიკლაურმა.

ღონისძიებაზე „ევროპული გამოცდილების ქართულმა ცენტრმა", ასევე, წარადგინა ლიკა ქიმერიძის წინსაფრები - პოპულარული ქართული სიმბოლიკით, ნინა კიკნაძის ტურისტული მეგზური „ქართული გზამკვლევი", ზურაბ გენგიურის საქართველოს ულამაზესი ხედების ფოტოები და ფოტო-წიგნები, სხვადასხვა სუვენირები ქართულ თემაზე.

წიგნის „უკმარი სინათლე" პრეზენტაცია ქ. ჰაგაში

5 ნოემბერს, ჰაგის ხელოვნების სამეფო აკადემიაში, ყოველწლიურ ფესტივალზე - Crossing Border, გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის ახალი რომანის - „უკმარი სინათლე" ნიდერლანდური გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი დამსწრე საზოგადოებას თავად ავტორმა წარუდგინა. ახალ რომანში მოთხრობილია ოთხი მეგობარი გოგოს ამბავი, რომელიც დროის ორ მონაკვეთში იშლება; თანამედროვე ბრიუსელში და 1987-1999 წლების საქართველოში.

ღონისძიებას ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში, დავით სოლომონია დაესწრო.

ონლაინ გაკვეთილი ქ. ლოდის საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის

5 ნოემბერს, ქ. ლოდის ქართული საკვირაო სკოლა „მამულის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „ზურიკელას სკოლა ქართული დიასპორებისათვის" ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ისრაელში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა.

ნოდარ დუმბაძის თბილისის სახლ-მუზეუმიდან ქართველმა მწერლებმა, პედაგოგებმა, წიგნის დიზაინერებმა, „მამულის“ აღსაზრდელებს ონლაინ რეჟიმში საინტერესო გაკვეთილები ჩაუტარეს, მათ მასწავლებლებს კი, გააცნეს პედაგოგიკის სიახლეები.

გენერალური კონსულის ვიზიტი ქ. ტრაპიზონში

6 ნოემბერს, ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, გელა ჯაფარიძემ შეხვედრა გამართა დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან: ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის თავმჯდომარესთან, ომერ სემიზთან, სალიფაზარის ბათუმელთა სოციალური თანადგომისა და სოლიდარობის საზოგადოების თავმჯდომარესთან, ადემ იაზიჯისთან, ფაცას ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და სოლიდარობის საზოგადოების თავმჯდომარესთან, ექრემ ქოშუმთან და უნიეს ქართული კულტურისა და მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარესთან, მეჰმეთ უთუსთან. შეხვედრაზე, მხარეებმა ისაუბრეს ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე.

„მზიანი შემოდგომა“ შვედეთში

6 ნოემბერს, ქ. სტოკჰოლმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლა-სტუდია „ნერგებმა“ შემოდგომის დღესასწაული, სახელწოდებით „მზიანი შემოდგომა“ აღნიშნა.

სტუდიის მოსწავლეებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან და ქართული ეროვნული საკრავების თანხლებით ქართული ფოლკლორის ნიმუშები შეასრულეს. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს ქართველი მეფეები და სახელოვანი ქართველი მწერლები.

ვებინარი სტუდენტებისთვის „ისწავლეთ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოში“

10 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით, გაიმართა ვებინარი სტუდენტებისთვის „ისწავლეთ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოში“, განათლების მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.ვებინარში მონაწილეობდნენ საქართველოს საგანგებო და სრულიფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, სოფიო ქაცარავა, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროექტების მენეჯერი ქეთევან გორგოშიძე. ვებინარს უძღვებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებული, მარიამ ხოკერაშვილი.

ვებინარის მსვლელობისას ქართველი სტუდენტები და აბიტურიენტები გაეცნენ ბრიტანეთში სწავლის შესაძლებლობებს, წესებსა და პროცედურებს, სწავლასთან და ბინადრობასთან დაკავშირებული საკითხებს და დასაქმების შესაძლებლობებზე.

ქ. დუბლინში გაიმართა ღონისძიება „ჯეიმს ჯოისი საქართველოში - 100 წელი ულისეს გამოცემიდან"

10 ნოემბერს, ქ. დუბლინში, ირლანდიაში საქართველოს საელჩოს, ჯეიმს ჯოისის ცენტრის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, კარლო კოვზანაძის ორგანიზებით ღონისძიება „ჯეიმს ჯოისი საქართველოში - 100 წელი ულისეს გამოცემიდან“ გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ირლანდიაში აკრედიტირებული ელჩები, ირლანდიის პარლამენტის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ირლანდიაში საქართველოს საპატიო კონსული და ჯეიმს ჯოისის ცენტრის მეგობრები.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირლანდიის რესპუბლიკაში, გიორგი ზურაბაშვილმა, ჯეიმს ჯოისის ცენტრის დირექტორმა, დარინა გალაჰერმა, საქართველო-ირლანდიის საპარლამენტათაშორისო მეგობრობის ჯგუფის წევრებმა, სენატორმა ჯო ო'რილიმ და სენატორმა ჯერარდ კროკველმა. საქართველოს ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა ჯეიმს ჯოისის მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჯეიმს ჯოისის ნაწარმოებების და სამეცნიერო კვლევების, მათ შორის, ულისეს ქართული თარგმანები.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ფილმ-ბალეტიდან „ლუჩიას ოთახი“, რომელიც გადაიღეს ქართველმა რეჟისორებმა, პროფესორმა დავით მაზიაშვილმა და მარიამ ალექსიძემ ჯეიმს ჯოისის ქალიშვილის, ლუჩიას შესახებ.

საქართველოდან დამსწრე საზოგადოებას ზუმ-ვებინარის მეშვეობით სიტყვით მიმართეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორმა, მანანა გელაშვილმა, რომელმაც უხელმძღვანელა ჯეიმს ჯოისის არაერთი კვლევისა და ნაშრომის თარგმანს, ჯეიმს ჯოისის რამდენიმე ნაწარმოების მთარგმნელმა, მაია ყიასაშვილმა, ფილმ-ბალეტის ,,ლუჩიას ოთახის'' რეჟისორმა, პროფესორმა, დავით მაზიაშვილმა და პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა, კარლო კოვზანაძემ.

ქ. ციურიხში კიტა ჩხენკელის მემორიალური დაფა გაიხსნა

10 ნოემბერს, ქ. ციურიხში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი ლინგვისტის, ქართველოლოგის, ციურიხში ქართული სტამბა „ამირანის“ დამაარსებლის, ციურიხის საპატიო დოქტორის, პროფესორ კიტა ჩხენკელის მემორიალური დაფა.

მემორიალური დაფა გახსნეს შვეიცარიაში საქართველოს საგანებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, რევაზ ლომინაძემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, ციურიხის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, მიხაელ შეფმანმა და საქართველოს მეგობართა ასოციაციის დამფუძნებელმა, თომას ჰოიზერმანმა.

საზეიმო ღონისძიების გახსნისას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა ისაუბრა პროფესორ კიტა ჩხენკელის ღვაწლსა და საქართველო-შვეიცარიის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში მის მიერ შეტანილ წვლილზე. მან ხაზგასმით აღნიშნა კიტა ჩხენკელის საქმიანობა ქართული ენის სახელმძღვანელოსა და ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის მიმართულებით, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველოლოგიის ისტორიაში.

მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ ციურიხის კანტონის გუბერნატორის მრჩეველი, საქართველოს მეგობართა ასოციაციის ხელმძღვანელები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ციურიხის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები.

ქართული კულტურის დღეები როსტოვში

11 ნოემბერს, ქ. დონის როსტოვში, რეგიონალური ქართული ეროვნულ-კულტურული ორგანიზაციის „ვარძია“ ინიციატივითა და ორგანიზებით ქართული კულტურის დღეები ჩატარდა. ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო როსტოვში მოქმედმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „იმედი“, „კოლხიდა“, „მეტეხი“, „სიონი“ და ქართველმა მომღერლებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, წმიდა ნინოს სახელობის როსტოვის ეკლესიის წინამძღვარი, მამაო სერგი.

ქართული კულტურის დღეები შვედეთში

11-12 ნოემბერს, შვედეთში მოქმედი ქალთა ორგანიზაცია „დეიზის“ და შვედეთის წმინდა გიორგის ქართული ეკლესიის სამრევლოს ორგანიზებით ქართული კულტურის დღეები სახელწოდებით „წარმატების ფორმულა“ ჩატარდა.

ორდღიანი ღონისძიების ფარგლებში სტუმრების წინაშე წარსდგნენ და კონცერტი გამართეს ცნობილმა ჯაზ-მუსიკოსმა, მაია ბარათაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა, შვედეთში მოქმედმა მგალობელთა გუნდმა „ალილომ“.

ქართული ტრადიციული ცეკვები შეასრულეს შვედეთში მოქმედმა საბავშვო ანსამბლმა „შოშიამ“ და მოზარდთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველომ“. ასევე, გაიმართა რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „ღვინის აკვანის“ ჩვენება.

დამსწრე საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იყო ქართველი ხელოვანების ნამუშევრები და სხვადასხვა სახის ქართული წარმოების პროდუქტი.

შეკრებილ სტუმრებსა და ქართველ თანამემამულეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ირაკლი ხუცურაულმა და ქ. ლიდინგეს მერმა, დანიელ შელენფორსმა.

ღონისძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ გამარჯვებული პროექტის, „წარმატების ფორმულა“ ფარგლებში განხორციელდა და შვედეთში საქართველოს საელჩოს თანადგომით გაიმართა.

დავით ფიცხელაურის პერსონალური გამოფენა კოპენჰაგენში

14 ნოემბერს, დანიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ქართველი მხატვრის, დავით ფიცხელაურის (ფიცხელა) პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „შინ დაბრუნება“ გაიმართა.

გამოფენა გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დანიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში, ნატა მენაბდემ, რომელმაც ისაუბრა გამოფენის მნიშვნელობაზე და საზოგადოებას წარუდგინა საქართველოდან საგანგებოდ გამოფენისთვის ჩასული მხატვარი.

დავით ფიცხელაურმა მოკლე მისასალმებელ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გამოფენით გააჟღერა 1990-იანი წლების იმ თაობის ხმა, რომელსაც ქვეყანაში მიმდინარე ტრანზიციის გამო არ მიეცა თვითგამოხატვის საშუალება.

დასასრულს, დავით ფიცხელაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მისი შემოქმედებით დაინტერესებისათვის.

გამოფენას ესწრებოდნენ დანიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, დანიური კულტურისა და საგანმანათლებლო წრეებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ღონისძიება გაგრძელდა მიღებით, რომლის ფარგლებშიც სტუმრებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ თავად მხატვარს და დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო.

ჯემალ აჯიაშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება ქ. ბათიამში

15 ნოემბერს, ისრაელში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და ქართველ ებრაელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბათ ამის“ მხარდაჭერით, ისრაელის ქ. ბათიამის „ინჟინერთა სახლის“ აუდიტორიაში გაიმართა კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის დოკუმენტური ფილმის „ჯემალ აჯიაშვილი“ პრემიერა, რომელიც გამოჩენილი ქართველი ებრაელი ხელოვანის, პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

საღამოს ესწრებოდნენ ქართველ ებრაელთა თემის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაციების წევრები, მწერლის მეგობრები და ოჯახის წევრები.



ქართული პოეზიის საღამო ქ. თესალონიკში

16 ნოემბერს, ქ. თესალონიკში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაცია „ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის" ორგანიზებით, პოეტ კოკა კობალაძის პოეზიის საღამო გაიმართა.

დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ქეთევან გონგლაძემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტი წარუდგინა. კოკა კობალაძის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ქ. თესალონიკში მცხოვრებმა ქართველმა პოეტმა ელგუჯა ციგროშვილმა.

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდა ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ვებინარი „ისწავლეთ ნიდერლანდების სამეფოში“

16 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, თამარ მნათობიშვილის ინიციატივით, ნიდერლანდების სამეფოში სწავლით დაინტერესებულ პირთათვის, ვებინარი „ისწავლეთ ნიდერლანდების სამეფოში“ ჩატარდა. ვებინარი გულისხმობდა სტუდენტებისთვის ამომწურავი, რელევანტური ინფორმაციის გაზიარებას ნიდერლანდების სამეფოში განათლების მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ონლაინ ღონისძიების მსვლელობისას ქართველი სტუდენტები და აბიტურიენტები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას, როგორიცაა ნიდერლანდების სამეფოში სწავლასთან და ბინადრობასთან დაკავშირებული საკითხები, წესები და პროცედურები, აპლიკაციები და რეგისტრაცია, ვიზები, დაზღვევა, გრანტები, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ.

აღნიშნულ ონლაინ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში დავით სოლომონია, საგარეო საქმეთა სამინსიტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენელი.

ვებინარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „განვითარებაზე მიგრაციის გავლენის გაძლიერება საქართველოში“ (STREAMinG) ფარგლებში გაიმართა.

„ქართული საგანძური ავსტრიაში“

17 ნოემბერს, ქ. ვენაში, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის ,,დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის'' პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ავტორმა, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქ. გრაცის ქართული საკვირაო სკოლა „იმედის" ხელმძღვანელმა, რუსუდან ზაზაშვილმა საღამოზე წარმოადგინა ფოტოგამოფენა „ქართული საგანძური ავსტრიაში - ვიცოდეთ რისი პატრონები ვართ". ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი იქნა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ოქროს ფონდის 33 ექსპონატი - ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები ორიგინალის ზომის ფოტო-ვერსიების სახით, რომლებიც დამსწრე აუდიტორიას საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა და გამოფენის კურატორმა, მაია ჯამბაზიშვილმა წარუდგინა.

პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, გაიმართა ფილმის - „ექვთიმე ღვთისკაცი" ჩვენება, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე და მთავარი როლის შემსრულებელი, ცნობილი ქართველი მსახიობი, რეზო ჩხიკვიშვილი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ქეთევან ციხელაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორს და მონაწილეებს. მან ყურადღება გაამახვილა მსგავსი სახის პროექტების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას.

საღამო მუსიკალურად გააფორმა გრაცის ქართული საკვირაო სკოლა „იმედის" ბავშვთა ვოკალურმა გუნდმა.

ლონდონში კონფერენცია „Globalize UK“ ჩატარდა

17 ნოემბერს, ლონდონში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა კონფერენცია „Globalize UK“ მონაწილეებს, ქართველ სტარტაპერებს, მეწარმეებს, ამ სფეროში მოღვაწე ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ბრიტანეთში, ასევე ინვესტორებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს.
ღონისძიებას საპატიო სტუმრის რანგში ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.
ღონისძიება გახსნა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა

ელჩმა სოფიო ქაცარავამ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდმა და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ.
ღონისძიება გაიმართა ქართული სტარტაპების და მეწარმეების მხარდასაჭერად, მათი ბრიტანულ კომპანიებთან კავშირების დამყარების მიზნით, რაც ქართული სტარტაპების მსოფლიო ბაზარზე გაფართოებასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.
ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ქართველმა პიანისტმა ქეთევან ასათაშვილი-უარდმა და ბრიტანელმა პიანისტმა, ოლივერ პულმა.

ქ. ბუდაპეშტში გამოფენა „26 მაისის ქალები“ გაიმართა

18 ნოემბერს, ქ. ბუდაპეშტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, თამუნა ჯაფარიძისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მირაბალდების“ ინიციატივით, Eötvös Loránd University-ში, გამოფენა - „26 მაისის ქალები“ გაიმართა.
ღონისძიების დასაწყისში, თამუნა ჯაფარიძემ ისაუბრა ქალთა როლის გაძლიერების მნიშვნელობაზე და სტუმრებს გააცნო პირველი ხუთი ქართველი ქალი პარლამენტარის ისტორიული წარსულის დეტალები და ხაზი გაუსვა მათ როლს ქვეყნის განვითარების პროცესში. გამოფენის ბოლოს, დამსწრეებს შესაძლებლობა მიეცათ არაფორმალურ გარემოში გაცნობოდნენ ერთმანეთს და დაეგემოვნებინათ უგემრიელესი ქართული დესერტები.
ღონისძიება უნგრეთში საქართველოს საელჩოსა და ELTE უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა.

თეატრალური წარმოდგენა ქ. თესალონიკში

18 ნოემბერს, ქ. თესალონიკში, ათენის ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ ,,არმაზთან" არსებულმა ნიკო გომელაურის სახელობის თეატრალურმა დასმა თესალონიკის მაყურებლის წინაშე, ცნობილი ირლანდიელი მწერლის, პოეტის და დრამატურგის, სემიუელ ბეკეტის პოპულარული პიესა „გოდოს მოლოდინში" წარადგინე. სპექტაკლის რეჟისორია ნიკოლოზ ტყავაძე.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

სემინარი სტუდენტებისთვის „მოხალისეების როლი კრიზისის მართვაში"

19 ნოემბერს, ვილნიუსში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" 2022 წლის გამარჯვებულის, მაკა ბერულავას ორგანიზებით, სემინარი „მოხალისეების როლი კრიზისის მართვაში" გაიმართა. სემინარს ესწრებოდნენ ქართველი სტუდენტები ვილნიუსიდან, კაუნისადან და კლაიპედადან.

ღონისძიებას უძღვებოდა მაკა ბერულავა, წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენელთან, აუსტეია რამუცკიტესთან ერთად. შეხვედრაზე აქცენტი რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილ დევნილების კრიზისზე და მის მართვაში, მოხალისეების როლზე გაკეთდა.

შეხვედრის მეორე ნაწილში, წითელი ჯვრის წარმომადგენელმა სტუდენტებს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული გაკვეთილი ჩაუტარა: ვარდნის, სისხლდენის, დამწვრობის, საკვების გადაცდენისა და ინსულტის სიტუაციურ მაგალითებზე.

სამუშაო შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა გამართეს დისკუსია მოხალისეობის მნიშვნელობაზე, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებზე ლიეტუვასა და საქართველოში.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

თეატრალური წარმოდგენები ქ. თესალონიკში

19 ნოემბერს, ქ. თესალონიკში, ათენის ქართულ-ბერძნულმა თეატრალურმა კულტურულმა ორგანიზაცია „დიონისემ“ და ამასთან არსებულმა ქართველი ემიგრანტების თეატრალურმა დასმა, ნოდარ დუმბაძის საბავშვო სპექტაკლი „ჰელადოსი“ და ბრანდონ ტომასის „ჩარლის დეიდა” წარადგინა.
სპექტაკლს ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. კაუნასში სამოყვარულო საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ჩატარდა

19 ნოემბერს, ქ. კაუნასის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გამართულ სამოყვარულო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „მასკარადი“ (Maskaradas), მონაწილეობა მიიღო ნიდერლანდებში არსებულმა ქართველთა სამოყვარულო თეატრალურმა დასმა „ათინათი“. დასმა წარმოადგინა სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის უკვდავი მოთხრობა „ჰელადოსის“ მიხედვით. ფესტივალის ორგანიზატორთა მიწვევით, თეატრალურ წარმოდგენას დაესწრო ლიეტუვას რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სალომე შაფაქიძე.

მან სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა საქართველო-ლიეტუვას შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებზე და ყურადღება გაამახვილა კულტურისა და კულტურული კავშირების მნიშვნელოვან როლზე ქართველი დიპლომატების საქმიანობაში.
ფესტივალის ფარგლებში, ასევე, გაიმართა საქართველოს ელჩის შეხვედრა კაუნასის რაიონის მუნიციპალიტეტის მერთან ვალერიუს მაკუნასთან.

„თამარიონნის“ კონცერტი პარიზში

19 ნოემბერს, საფრანგეთში ასოციაცია „Mosaique“- ის რეგიონალური კომიტეტის სპეციალური მოწვევით, საფრანგეთში წმინდა თამარ მეფის ტაძართან არსებული ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის გუნდმა „თამარიონნი” კონცერტი გამართა მონტრეის მერიაში.
კონცერტზე ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შეასრულა.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

ქართული შემოდგომა პარიზში

19 ნოემბერს, პარიზში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, სოფიო ბაქანიძის ინიციატივით, საქართველოს კულტურისადმი მიძღვნილი საღამო - ქართული შემოდგომა პარიზში L’automne géorgien à Paris გაიმართა. აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო ქართული კულტურის პოპულარიზაცია საფრანგეთში.
ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ხელოვანები, მუსიკოსები, ფრანგი ახალგაზრდები და ქართველი სტუდენტები.

ღონისძიებაზე სტუმრების წინაშე წარსდგენ პარიზში მოქმედი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზი“ და სიმღერის ანსამბლი ,,მარანი“. მათ შეასრულეს ქართული ეროვნული ცეკვები, მოუსმინეს ქართულ პოლიფონიას. ღონისძიების დასასრულს სტუმრები გაეცნენ საინფორმაციო ლიტერატურას საქართველოს შესახებ და დააგემოვნეს ქართული კერძები.

ქართული სამზარეულოს მასტერკლასი ქ. ტალინში

21 ნოემბერს, ქართული სამზარეულოს გაცნობისა და პოპულარიზაციის, ასევე საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კულინარიისა და ტურიზმის სფეროში დასაქმებული ჟურნალისტებისათვის, ტურისტული კომპანიებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის ქართული სამზარეულოს მასტერკლასი გაიმართა.
ყოველწლიური ღონისძიება სახელწოდებით „ქართული სამზარეულო და სუფრა“ ესტონეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, არჩილ ყარაულაშვილმა გახსნა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო საქართველოს ტურისტული პოტენციალი,

ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნება და კულინარიასთან დაკავშირებული ტრადიციები. საქართველოს ელჩმა ისაუბრა სახელმწოფოს პოლიტიკისა და ინიციატივების თაობაზე მცირე ბიზნესის ხელშეწყობასთან დაკავშირებით.
ქართული სამზარეულოს მასტერკლასს უძღვებოდა ტალინის ქართული რესტორნის ,,ტავერნა თბილისის“ შეფმზარეული, მამუკელ გორელაშვილი, რომელმაც მოსულ სტუმრებს ტრადიციული კერძების, მათ შორის, ხინკლის და ხაჭაპურის მომზადება ასწავლა.
ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული სოფლის მეურნეობის რამდენიმე სახის პროდუქცია, მათ შორის, ჩაი და ღვინო. კომპანიების წარმომადგენელთა მიერ გაკეთდა პროდუქციის პრეზენტაციები. მასტერკლასის მსვლელობისას სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ჩაისა და ღვინის სხვადასხვა სახეობა.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

საქართველოს ელჩის ვიზიტი ქ. სტამბოლში

24 ნოემბერს, ქ. სტამბოლში მივლინების ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ჯანჯღავამ შეხვედრები გამართა თურქულ-ქართული განათლებისა და კულტურის ფონდის დამაარსებელთან და გენერალურ დირექტორთან, ბიზნესმენ ისმეთ აჯართან, აგრეთვე, თურქეთის ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელთან, ალი ქემალ ქილიჩთან და ასოციაციის მმართველთა საბჭოს წევრებთან.

საქართველოს ელჩმა, შეხვედრისას, ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელოვან როლზე და დიასპორის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. მან, აგრეთვე, ისაუბრა იმ პროექტებსა და ინიციატივებზე, რომლებიც მთავრობას გააჩნია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

ამასთან, საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით, ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ, თურქულ-ქართული განათლებისა და კულტურის ფონდის დამაარსებელსა და გენერალურ დირექტორს, ისმეთ აჯარსა და ბეიქოზის ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციის თავმჯდომარეს, ალი ქემალ ქილიჩს (ტარიელაძე) სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

შეხვედრაზე, მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზაობა, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით.

„ახალგაზრდა ელჩის“ სტუმრობა ქ. ვალგას სკოლაში

24 ნომბერს, ესტონეთის სასაზღვრო ქალაქ ვალგას სკოლაში (Valga Põhikool), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გიორგი მჭედლიძის ორგანიზებით კულტურული ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში ასობით ადგილობრივმა სკოლის მოსწავლემ მიიღო ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

პრეზენტაციის შემდგომ ჩატარდა ვიქტორინა საქართველოს შესახებ, სკოლის მასწავლებლებს ხინკლის მასტერკლასი ჩაუტარდათ.

გიორგი მჭედლიძის ინიციატივით მსგავსი სახის კულტურული ღონისძიებები ესტონეთის სხვა სკოლებშიც გაიმართება.

ქ. ანკარაში ირაკლი ჭუმბურიძის კონცერტი გაიმართა

25 ნოემბერს, ქ. ანკარაში, არტსალონში ,,Mozarthaus“ გაიმართა სტამბოლის სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კათედრის მოწვეული ლექტორის, პიანისტ ირაკლი ჭუმბურიძის კონცერტი, რომელზეც იგი მაყურებლის წინაშე, კლარნეტისტ ანდ ქარაბაჯაქთან ერთად წარსდგა.
ღონისძიების ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ჯანჯღავამ, პიანისტ ირაკლი ჭუმბურიძეს საელჩოში უმასპინძლა.
შეხვედრაზე, მხარეთა მიერ, განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები და ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ქართული ფილმის ჩვენება კოპენჰაგენში

25 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გვანცა შაორშაძის ინიციატივითა და ორგანიზებით, დანიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს სივრცეში გაიმართა ქართული ფილმის საღამო, რომლის ფარგლებშიც დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდათ ეხილათ ქართველი რეჟისორის დავით ფირცხალავას ფილმი „მამა“. სტუმრებს მიესალმა თავად რეჟისორი. ღონისძიება კი გაგრძელდა მიღებით, რომელზეც ქართველმა და უცხოელმა სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული კერძები და ღვინო.

„გველის პერანგის“ ნიდერლანდური თარგმანის პრეზენტაცია

25 ნოემბერს, ნიდერლანდებში საქართველოს საელჩოში, გაიმართა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ რობაქიძის, ნაწარმოები „გველის პერანგის“ ნიდერლანდური თარგმანის პრეზენტაცია.
რომანი, ნიდერლანდელ მკითხველს, თარგმანის ავტორმა, ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველმა ლიტერატორმა, არჩილ ჯავახაძემ წარუდგინა. მან აუდიენციას გააცნო გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის შესაბამისი ეპიზოდები და რომანის შექმნის პროცესი, რაც პირდაპირ კავშირშია 1921 წელს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციასთან და ემიგრირებული ქართველების მძიმე ხვედრთან.

ლიტერატურულ საღამოზე, მისასალმებელი სიტყვით წარსდგა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქართული ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა ნიდერლანდურ ენაზე აღსანიშნავი და მისასალმებელი მოვლენაა საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის კულტურის სფეროში არსებულ

ურთიერთობათა განვითარების საქმეში, თუმცა დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ გამოცემა ნიდერლანდურ ენაზე სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც წმინდა ლიტერატურულ ჩარჩოებს სცილდება და ძლიერ სიმბოლურ დატვირთვას იძენს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ნიდერლანდური გამომცემლობის, ქართული სათვისტომოს და აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

ვლადიმერ კონსტანტინიდის სტუმრობა დუბლინის ქართულ საკვირაო სკოლაში

26 ნოემბერს, ქ. დუბლინში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი და ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გიორგი ზურაბაშვილი, ქ. დუბლინის ქართულ საკვირაო სკოლა „ლამპარს“ ესტუმრნენ.

მინისტრის მოადგილე გაეცნო საკვირაო სკოლაში სასწავლო პროცესს. მან მადლიერება გამოხატა იმ ფასდაუდებელი წვლილისთვის, რომელიც ქართველ პედაგოგებს შეაქვთ სამშობლოსაგან მოშორებით მცხოვრები მოზარდების განათლების, მათთვის მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის შესწავლაში და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში.

ქ. ტრაპიზონში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა

26 ნოემბერს, გენერალური საკონსულოს ხელშეწყობით, ჩარშამბას რაიონში (სამსუნის გუბერნია) ,,ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის“ ბაზაზე ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა. კურსების გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი მუხრან გულაღაშვილი, ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული გელა ჯაფარიძე, ვიცე-კონსული თემურ ტარტარაშვილი, გენერალური კონსულის თანაშემწე გიორგი ყუშიტაშვილი, ,,ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის“ თავმჯდომარე ომერ სემიზი, ფაცას „ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და სოლიდარობის საზოგადოების“ თავმჯდომარე ექრემ ქოშუმი, „უნიეს ქართული მეგობრობისა და კულტურის საზოგადოების“ თავმჯდომარე მეჰმეთ უთუ, „სალიფაზარის ქართველთა სოციალური დახმარებისა და სოლიდარობის ასოციაციის“ თავმჯდომარე ადემ იაზიჯი, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს წრეების, ქართული ისტორიული დიასპორისა და ემიგრანტების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ „ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, პირველ ეტაპზე 25 მსმენელი ჰყავს, თუმცა ქართული ენის შესწავლის მსურველთა მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, იგეგმება დამატებითი კურსების გახსნა.

ღონისძიების ფარგლებში, მსმენელებს გადაეცათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გელა ჯაფარიძემ და მუხრან გულაღაშვილმა. მათ ხაზი გაუსვეს ქართული დიასპორული ორგანიზაციების როლს ორი ქვეყნის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავების საკითხში. გენერალურმა კონსულმა და დეპარტამენტის დირექტორმა მადლიერება გამოხატეს თურქეთის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ქართული დიასპორული ორგანიზაციების დაარსების და შემდგომში მათი შეუფერხებლად ფუქნციონირების ხელშეწყობისთვის და აღნიშნეს, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობებს, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია თურქეთში მცხოვრები ქართველების ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების გაძლიერებისთვის და მათთვის ქართული ენის შენარჩუნებისთვის.

ქ. ათენში ქართული ფილმის ჩვენება მოეწყო

27 ნოემბერს, ქ. ათენში, ბესო სოლომონაშვილის მხატვრული ფილმის ,,ბოსტანი კონფლიქტის ზონაში" ჩვენება მოეწყო.
ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ შემოქმედებითი გაერთიანება „ლამარია“ და ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისე“. ფილმის ჩვენების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ფილმის ჩვენების ორგანიზატორებმა და თბილისიდან მოწვეულმა სტუმრებმა - ფილმის რეჟისორმა და სცენარის ავტორმა ბესო სოლომონაშვილმა და მთავარი როლის შემსრულებელმა დუტა სხირტლაძემ.
ღონისძიებას ესწრებოდა საბერძნეთში საქართველოს საელჩოს და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

კონფერენცია: „საქართველო, როგორც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აკვანი“



რიგით VI ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის თემა:
საქართველო, როგორც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აკვანი.

I. შესავალი: მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების შესახებ.
1. მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში: **საქართველო. თბილისი სამეცნიერო საზოგადოება პრომეთეოსი**
2. მიწათმოქმედების განვითარება აჭარაში, არქეოლოგია და მითები. **საქართველო. ბათუმი "Global Gate"**
3. მესაქონლეობის განვითარება საქართველოში: **ბოლნისის იოანე ბოლნელის სკოლა.**
4. მეხილეობა საქართველოში: **საქართველო. რუსთავის კერძო სკოლა მილენიუმი.**

II. საქართველო - ღვინის სამშობლოა:
1. ღვინის ისტორია: **გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლა: ლონდონი, კენტი, ესპანეთი-ვალენსია, რუსეთი-მოსკოვი, საქართველო-თბილისი.**
2. ღვინის არქეოლოგია: **იტალია: მილანი და ვენეცია**
3. ვაზი და ვენახი, როგორც სოფლის მეურნეობის კულტურა , ღვინო - როგორც პროდუქტი (წარმოება, ტექნოლოგია): **გერმანია-ჰანოვერი, საბერძნეთი-სტავრო.**
4. ვაზის კულტურა სამეგრელოში: **საქართველო.**

27 ნოემბერს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ხელმძღვანელის, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ორგანიზებით, გაიმართა ლონდონის რიგით VI საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე: „საქართველო, როგორც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აკვანი“.
კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლების, ასევე, საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები.
კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა დიასპორის მოზარდ თაობაში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, საქართველოს ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ქართული ტრადიციების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, აგრეთვე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო არენაზე გატანა.
კონფერენციის დელეგატებმა ისაუბრეს საქართველოში მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და მეხილეობის განვითარების შესახებ, აგრეთვე, ქართული ღვინის ისტორიაზე, სელის, თაფლისა და ხორბლის კულტურაზე.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ნოემბერი, 2022

სპექტაკლის „რწყილი და ჭიანჭველა“ ჩვენება ქ. თესალონიკში

27 ნოემბერს, ქ. თესალონიკში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, თესალონიკის ქართული დიასპორის წინაშე წარადგინა რეჟისორების - დიმიტრი ხვთისიაშვილისა და გია მარღანიას სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“.

ბავშვებისთვის ნოდარ დუმბაძის ლექსები წაიკითხა ხელოვნებათმცოდნემ, ქეთევან დუმბაძემ. ინოლა გურგულიას საბავშვო სიმღერები კი შეასრულა მსახიობმა და მომღერალმა, ია შუღლიაშვილმა.

სპექტაკლს ესწრებოდა ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

სამთაწყაროში ანსამბლ „ჰერულას“ კონცერტი გაიმართა

29 ნოემბერს, დედოფლისწყაროს სოფ. სამთაწყაროში, ფოლკლორული ანსამბლის - „ჰერულა“ სოლო კონცერტი ჩატარდა სახელწოდებით - „არ დავიწყება მოყვრისა“. კონცერტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონში“ ფარგლებში გაიმართა.

ზეთისხილის რთველი იერუსალიმში

8 ოქტომბერს, ისრაელში ქართულმა დიასპორამ, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ველზე ზეთისხილის რთველი გამართა.

აღნიშნულ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღო ქ. ლოდის ქართული საკვირაო სკოლა „მამულის“ აღსაზრდელებმა.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

www.mfa.gov.ge

www.gda.ge

მისამართი:
ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO

ტელ.: +995 32 294 50 00

ელ-ფოსტა: diaspora@mfa.gov.ge